

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო კოლეჯი



საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ჭავჭავაძის გამზ.49 0162

ტელ: (+995) 32 2 23 06 26

ვებ-გვერდი: www.sportcolle.ge

ელ-ფოსტა: sportgeocollege@gmail.com

თბილისი 2019

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი

სპორტის მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მოღვაწეობა, ჩვენს ქვეყანაში 1933 წლიდან იღებს სათავეს. ამ წელს დაარსდა ქვეყნის ერთერთი უძველესი პროფესიული სასწავლებელი - ფიზკულტურის ტექნიკუმი. მოგვიანებით ტექნიკუმს მწვრთნელთა სკოლა ეწოდა. 1977 წელს კი კვლავ დაუბრუნდა ფიზკულტურის ტექნიკუმის სახელი. 2000 წელს ტექნიკუმმა სპორტული კოლეჯის სახელით განაგრძო მოღვაწეობა. 2009 წელს სპორტის კოლეჯს სტატუსი შეუჩერდა. ამ ნაბიჯით მოხდა სპორტის მიმართულებით საგანმანათლებლო პროცესის ლიკვიდაცია, რადგან ერთი წლით ადრე სტატუსი შეუჩერდა უმაღლეს სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებას. შედეგად მივიღეთ რეალობა, როდესაც შეიქმნა ძალიან მოცულობითი ვაკუუმი. კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტმა გამოიწვია უამრავი პრობლემა და პირველ რიგში ამ პროცესებმა მასობრივი სპორტის განვითარებაზე იმოქმედა. 6 წლიანი პაუზის შემდეგ, 2014 წლის გაზაფხულზე სპორტის კოლეჯს კვლავ აღუდგა სტატუსი. სპორტის კოლეჯმა 2014 წლის აგვისტოში წარმატებით გაიარა ავტორიზაცია და კვლავ დაიწყო საგანმანათლებლო მოღვაწეობა. პირველივე წელს სპორტის კოლეჯში მოხვედრის მსურველთა რიცხვი 3-ჯერ აჭარბებდა ადგილების რაოდენობას. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ვითარებაა მომდევნო წლებშიც გაგრძელდა და დღეს ჩვენს კოლეჯში 5 საგანმანათლებლო პროგრამაზე 3564 სტუდენტი სწავლობს.

არსებობის 85 წლიანი ისტორიის მანძილზე სპორტის კოლეჯის კურსდამთავრებული გახდა არაერთი სახელოვანი სპორტსმენი თუ მწვრთნელი, რომელთა შორის არიან მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები: ლაშა ტალახაძე, მურმან თურმანიძე, თათია ლორთქიფანიძე, ზაზა ნადირაძე, თეონა ბოსტაშვილი, სანდრო ბაზაძე, ვახტანგ ბალავაძე და სხვები. 2014 წლიდან დღემდე, ხუთწიანი არსებობის მანძილზე, სპორტის კოლეჯმა 300-ზე მეტი კურსდამთავრებული გამოუშვა. მათი უმეტესობა წარმატებით არის დასაქმებული სპეციალობების მიხედვით.

გასულ წლებში კოლეჯი 6 საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა. ვფიქრობთ მომდევნო წლებში ჩვენი კოლეჯი კიდევ ბევრ საინტერესო და დასაქმებაზე ორიენტირებულ პროგრამას შესთავაზებს დაინტერესებულ პირებს. ვინაოდან, ჩვენი კოლეჯი მომავალშიც აპირებს თანამშრომლობა გააგრძელოს პარტნიორ ორგანიზაციებთან, რაც საწინდარია ჯანმრთელო ცხოვრების ხელშეწყობისა და დანერგვის მიმართულებით.

მისია - სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის, როგორც ჩვენი ქვეყნის ერთადერთი სასპორტო მიმართულების პროფესიული დაწესებულების მისიაა, საეთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ჯანსაღი ცხოვრების წესისა და მასობრივი სპორტის დანერგვა/ განვითარებას და შრომის ბაზარზე არსებული დეფიციტისა და მოთხოვნების უზრუნველყოფას. თითოეული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარებისთვის ჩვენს კოლეჯში შექმნილია ყველა პირობა. უზრუნველყოფილია სწავლებისა და სპორტული პროცესების ურთიერთშერწყმა და სპორტული და მასთან დაკავშირებული დარგების საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად წარმართვა. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა/სწავლების პროცესი რაც პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების შეთავაზებით ხორციელდება. კოლეჯი უზრუნველყოფს თანამშრომლობას პარტნიორ ორგანიზაციებთან, სპორტულ ფედერაციებთან და კლუბებთან, პედაგოგებისა და პერსონალის მუდმივ განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. სპორტის კოლეჯი, თავისი საქმიანობით, მიზანმიმართულად ახორციელებს მასობრივი სპორტისა და ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდას და მეტი ადამიანის ჩართულობას ამ სფეროში.

ხედვა - 2030 წლისთვის სპორტის სფეროში აღმოფხვრილია პროფესიონალი კადრების დეფიციტი. სპორტის კოლეჯი, როგორც სასპორტო მიმართულების პროფესიული სასწავლებელი არის ლიდერი დაწესებულება პროფესიულ განათლებაში კავკასიის რეგიონის მასშტაბით.

კოლეჯის ღირებულებები - სპორტის კოლეჯის მთავარ ღირებულებას პროფესიონალიზმი, გუნდური მუშაობა და ღიაობა წარმოადგენს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია სამართლიანობა, თანასწორობა და ადამიანის უფლებების დაცვა ისეთ მნიშვნელოვან ასპექტთან მიმართებაში, რასაც გუნდური მუშაობის პრინციპები და საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობა ქვია.

სპორტის კოლეჯში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულები არიან კვალიფიციური და გამოცდილი პედაგოგები, დარგის სპეციალისტები. გაფორმებული გვაქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საწარმოო და სასწავლო პრაქტიკის ობიექტებთან. როგორც ჩვენი ქვეყნის ერთადერთმა სასპორტო მიმართულების პროფესიული დაწესებულებამ, ჩვენ მიზნად დავისახეთ მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და სპორტის სფეროში პროფესიული განათლების მიმართულებით მიმზიდველი გარემოს შექმნა. ამ მიზნით ჩვენი კოლეჯი ჩართული იყო და მომავალშიც გეგმავს ჩაერთოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ყველა პროექტსა და ტრენინგში. სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი კოლეჯი ერთერთი პირველი იყო, რომელიც ჩაერთო მოდულური სწავლების პროცესში. სპორტის კოლეჯი ასევე ზრუნავს პედაგოგებისა და ადმინისტრაციის კვალიფიკაციის ამაღლებაზე. კოლეჯის თანამშრომლები მონაწილეობდნენ არაერთ ტრენინგში. 2017 წელს კოლეჯის 14 პედაგოგს გადაეცა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სერთიფიკატი.

ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი

- I. სახელწოდება: ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი
- II. სარეგისტრაციო ნომერი: 03201-3
- III. პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით: მეოთხე
- IV. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- V. საკანონმდებლო ბაზა:
 - საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“
 - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
 - ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის პროფესიული სტანდარტი
- VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება
- VII. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ბეჭდური გამოცემებში (გაზეთები, ჟურნალები), ონლაინგამოცემებში, საინფორმაციო სააგენტოებში, პრესსამსახურებში
- VIII. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს პროფესიული სტუდენტი, რომელიც შეძლებს მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებით ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებას, ტექსტური ან მულტიმედიის სახის პროდუქტის (ტექსტური, აუდიო, ფოტო და/ან ვიდეოფორმატის კომბინაცია) შექმნას და ბეჭდურ და/ან ონლაინსაშუალებით გამოქვეყნებას.
- IX. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

 - სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო რესურსებთან მუშაობა
 - წერილობით ტექსტზე მუშაობა

- პროფესიული ეთიკისა და საქართველოს კანონმდებლობის დაცვით ბეჭდური და/ან მულტიმედია პროდუქტის შექმნა
- მედიაპროდუქტის აქტივობა ვებგვერდზე, ბლოგზე, სოციალური ქსელებით

X. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- ა) ქართულენოვანი სტუდენტებისთვის
- მოცულობა - 115 კრედიტი
 - სავარაუდო ხანგრძლივობა - 21 სასწავლო თვე
- ბ) არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის
- მოცულობა - 145 კრედიტი
 - სავარაუდო ხანგრძლივობა - 26 სასწავლო თვე

XI. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები	
ინტერპერსონალური კომინიკაცია	3	გაცნობითი პრაქტიკა - ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი	2	არჩევნების გაშუქება	5
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა - ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი	12	ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების გაშუქება	5
ინფორმაციული წიგნიერება 1	3	პრაქტიკული პროექტი - ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი	6	სპორტის გაშუქება	5

მწარმოება 2	2	ახალი ამბების წარმოება	7	განათლების საკითხების გამუქება	5
უცხოური ენა	5	ინფორმაციის მოძიების ტექნიკა	5		
ქართული ენა A2	15	წერილობით ტექსტთან მუშაობა	7		
ქართული ენა B1	15	ფოტოსაქმე	5		
		ვიდეომასალაზე მუშაობა	5		
		ახალი მედია	6		
		პროფესიული ეთიკის დაცვა	6		
		პროფესიული უსაფრთხოების დაცვა	2		
		კანონმდებლობა რეპორტიორისათვის	4		
		სახელმწიფო სტრუქტურებთან მუშაობა	4		
		ინგლისური ენა - (B1+/ B2) ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორისათვის	5		
		კომუნიკაცია-2	2		
		პირველადი გადაუდებელი დახმარება	2		
სულ:	15 (45)	სულ:	80	სულ:	20

XI.I. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების სწავლება

„მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“

შესაბამისად, აღარ არის საჭირო ქართულენოვანი სტუდენტებისათვის ქართული ენის კრედიტების ჩათვლა (აღიარება).

პროგრამების მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა სხვადასხვაა ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის: ქართულენოვანი სტუდენტებისთვის ის განისაზღვრება - 115 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 145 კრედიტით

XII. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.
6. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზინით ასეთი პირები მოდულზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 20 კრედიტი.

პროგრამების ჩამონათვალი, რომლებსაც სპორტის კოლეჯი ახორციელებს მიღევად რეჟიმში

პროგრამა მასაჟისტ-რეაბილიტატორი

- I. სახელწოდება: მასაჟისტ-რეაბილიტატორი
- II. სარეგისტრაციო ნომერი: 09104-პ
- III. პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით: მეხუთე
- IV. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მასაჟისტ-რეაბილიტატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- V. საკანონმდებლო ბაზა:
 - საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
 - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
 - მასაჟისტი რეაბილიტატორის პროფესიული სტანდარტი
- VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება
- VII. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებში, რეაბილიტაციის ცენტრებში, სპორტულ დარბაზებსა და სპორტულ კლუბებში, აუზებზე, ესთეტიკურ ცენტრებში, სპა ცენტრებში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ჰიგიენური პროფილის სალონებში, სკოლებში, სასტუმროებში, ცეკვის სტუდიებში, ოფისებში, კურორტებზე, ბავშვთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაწესებულებებში.
- VIII. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მასაჟისტი რეაბილიტატორების მომზადება, რომლებიც ხარისხიანად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, გამოიყენებენ ცოდნას და უნარებს შრომითი საქმიანობის ფარგლებში. ასევე, პროგრამა ხელს შეუწყობს მასაჟისტთა პროფესიული დონის ამაღლებას, ფართო საზოგადოების მხრიდან ინტერესის გაზრდას ამ პროფესიის მიმართ; დასაქმების შესაძლებლობების გამრავალფეროვნებას.
- IX. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- პაციენტის/კლიენტის ზოგადი მდგომარეობის შეფასება
- კონკრეტული კლიენტის სამკურნალო პროცესის ეფექტურად დაგეგმვა
- პაციენტისათვის შესაბამისი მომსახურების გაწევა სპეციალური მექანიკური მანიპულაციებით (სამასაჟე ილეთები)
- კოსმეტიკური და ესთეტიკური მასაჟის პროცედურების ჩატარება
- სხვადასხვა ტიპის სამკურნალო მასაჟის პროცედურის ჩატარება
- ცოდნის ამაღლების მიზნით პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება.

X. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- ა) ქართულენოვანი სტუდენტებისთვის
- მოცულობა - 114 კრედიტი
 - სავარაუდო ხანგრძლივობა - 21 სასწავლო თვე
- ბ) არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის
- მოცულობა - 144 კრედიტი
 - სავარაუდო ხანგრძლივობა - 26 სასწავლო თვე

XI. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები	
ინფორმაციული წიგნიერება	3	გაცნობითი პრაქტიკა-მასაჟისტ რეაბილიტატორი	2	რეფლექტორული მასაჟი	3
მეწარმეობა	3	საწარმოო პრაქტიკა-მასაჟისტ რეაბილიტატორი	12	არომასაჟი	1
უცხოური ენა	5	პრაქტიკული პროექტი-მასაჟისტ რეაბილიტატორი	6	მასაჟის აღმოსავლური მეთოდები	2

ქართული ენა A2	15	მასაჟის თეორიული საფუძვლები	1	რეფლექსოლოგია (ტერფების და მტევნების მასაჟი)	1
ქართული ენა B1	15	მასაჟის ანატომიურ- ფიზიოლოგიური ასპექტები	5	კინეზოთერაპია სამედიცინო რეაბილიტაციის სისტემაში -2	4
		ბიოეთიკის და დეონტოლოგიის პროფესიული ასპექტები	1	სპორტული მასაჟი	2
		პაციენტის ზოგადი მდგომარეობის შეფასება	3	ორსულთა და მელოგინე ქალთა მასაჟი	1
		პირველადი გადაუდებელი დახმარება - მასაჟისტ- რეაბილიტატორი	1	მანუალური თერაპია და ტაილანდური იოგა-მასაჟი სამკურნალო მასაჟის სისტემაში	3
		მასაჟის სანიტარულ- ჰიგიენური საფუძვლები და მასაჟის პროცედურის მართვა	1	ჯანსაღი კვება და დიეტა	1
		ზოგადი დარეგიონალური მასაჟი კლასიკური (შვედური) მეთოდით	9	აპარატურული მასაჟი	2
		წერტილოვანი მასაჟი (აკუპრესურა)	7		
		კინეზოთერაპია სამედიცინო	3		

		რეაბილიტაციის სისტემაში 1			
		ადრეული ასაკის ბავშვთა ზოგადგამაჯანსაღებელი და სამკურნალო მასაჟი კინეზოთერაპიით	4		
		კოსმეტიკური მასაჟი	1		
		მასაჟის მეთოდები ესთეტიკურ მედიცინაში და მასაჟის გავრცელებული სახეები.	3		
		სამკურნალო მასაჟი ტანდემობის დარღვევების დროს	2		
		სამკურნალო მასაჟი პოსტ-ტრავმული, პოსტ- ოპერაციული მდგომარეობების და ორთოპედიული დაავადებების დროს	6		
		სამკურნალო მასაჟი ნერვული სისტემის დაავადებების დროს	6		
		სამკურნალო მასაჟი ნივთიერებათა ცვლის დარღვევების დროს	1		
		სამკურნალო მასაჟი შინაგანი ორგანოების, გინეკოლოგიური,	2		

		უროლოგიური და დერმატოლოგიური დაავადებების დროს			
		ლიმფის მანუალური დრენაჟი და კომპრესიული თერაპია	6		
		მასაჟისტის პროფესიული ზრდა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა	1		
სულ:	11 (41)	სულ:	83	სულ:	20

XI.I. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების სწავლება

„მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/წ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“

ქართულენოვანი სტუდენტებისათვის ქართული ენის კრედიტების ჩათვლა (აღიარება) აღარ არის საჭირო. პროგრამების მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა სხვადასხვაა ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის: ქართულენოვანი სტუდენტებისთვის ის განისაზღვრება - 114 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 144 კრედიტით

XII. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

- შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
- განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

8. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
9. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
10. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.
11. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები მოდულზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 20 კრედიტი.

მწვრთნელის IV საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	მწვრთნელი
პროგრამის ხელმძღვანელი	ედუარდ ფეროიანი
მისანიჭებელი კვალი ფიკაცია	მწვრთნელის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
პროგრამის მოცულობა	120 კრედიტი (3000 საათი), აქედან -72 კრედიტი (1800 საათი) ეთმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო 48 - კრედიტი (1200საათი) - პრაქტიკულ კომპონენტს. კრედიტი გამოხატავს ცალკეული სასწავლო კურსით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას (დატვირთვას). ერთი კრედიტისასახავს პროფესიული სტუდენტის საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.
პროგრამის ხანგრძლივობა	76 კვირა
პროგრამის შემუშავების თარიღი დაგანახლების შესაძლებლობა	2014 წლის 30 მაისი. განახლებადია ყოველწლიურად
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი,	<p>პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადო კვალიფიციური მწვრთნელი სპორტის სხვადასხვა სახეობებში. სტუდენტები დაეუფლებიან მწვრთნელისათვის აუცილებელ ცოდნას ბიოლოგიაში, ბიოქიმიაში, ბიომექანიკაში, პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში, შეისწავლიან წვრთნის სხვადასხვა სტილებს. კურსდამთავრებულები შეძლებენ სპორტული მოძრაობის გაანალიზებას, სპორტსმენტთა საკვები რაციონის დადგენას და სპორტის შესაბამის სახეობაში წვრთნის სტარატეგიული გეგმის (მოკლევადიანი და გრძელვადიანი) შემუშავებას სპეციფიკური კონტექსტისგათვალისწინებით.</p> <p>შეასწავლოს სტუდენტებს სპორტული წვრთნის ზოგად მეთოდური, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური საფუძვლები, ის მოვლენები და კანონები, რომელიც საფუძვლად უდევს სპორტის სხვადასხვა</p>

	<p>სახეების მწვრთნელის ცოდნის ხარისხის ამაღლებას და მიმართულია მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენების მომზადების სრულყოფის გზების დამუშავებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე;</p>
<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</p>	<p>კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, ზოგადი განათლების საბაზო საფეხური. საერთო და სპეციალური ფიზიკური მომზადების ნორმატივების ჩაბარება.</p>
<p>სწავლის შედეგი</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება მწვრთნელის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელმა იცის: ადამიანის ორგანიზმის შემადგენელი ელემენტების ფიზიოლოგიური საფუძვლები. საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ანატომიურ-ფიზიოლოგიური აგებულება; ძირითადი ფუნდამენტური და ზოგადი საგანმანათლებლო კურსები და სპორტის საკითხებთან მათი ურთიერთკავშირის განსაზღვრა; სპორტული წვრთნის ძირითადი თეორიული კონცეფციები, სპორტული წვრთნის დაგეგმვისა და ჩატარების პრინციპები, სწავლების დაწყებით საფეხურზე. სპორტის სხვადასხვა სახეობებში კომპლექსური საკითხების გაცნობიერება ტექნიკური ილეთების შესწავლის, შესრულების, ჩვევებისგამომუშავებისა და განმტკიცების მეთოდების კუთხით. მათი დეტალური განსაზღვრა და აღწერა; გააცნობიეროს წვრთნის პროცესში წამოჭრილი პრობლემები ფიზიკური პარამეტრების შეფასების საფუძველზე. ინდივიდუალური და ჯგუფური კომპლექსური ვარჯიშების შემუშავების პრინციპები, მათი კლასიფიკაცია სისწრაფის, ძალის, გამძლეობის, სიმარჯვისა დამოქნილობის განვითარებისათვის; მსოფლიოს სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორია, ქართველ სპორტსმენთა წარმატებები ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლისა და ევროპის ჩემპიონატებზე.</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: შეიმუშაოს ინდივიდუალური და სპეციალური სავარჯიშო პროგრამები, ეფექტურად გამოიყენოს სპორტული წვრთნის პროცესში ტრენაჟორები და სხვა დამხმარე საშუალებები, რაც შეამცირებს ტრამვების პროცენტულ მაჩვენებელს და უზრუნველყოფს ტექნიკური საშუალებების უსაფრთხოებას; ადამიანის ორგანიზმის ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით შეიმუშავოს სპორტსმენის ინდივიდუალური დატვირთვის სქემა და გააცნობიეროს წვრთნის პროცესში წამოჭრილი პრობლემები ფიზიკური პარამეტრების შეფასების საფუძველზე; სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობების პროცესში ტანვარჯიშის, მძლეოსნობის, სპორტთამაშებისა და სპორტის სხვა სახეობების საპროგრამო მასალის მიზანმიმართულად გამოყენება; სპორტული წვრთნის პროცესში განსაზღვროს სპორტსმენის მუშაობის უნარიანობისამაღლების, ფიზიკური დატვირთვებისადმი ადაპტაციის მეთოდოლოგია, ჩაატაროს აღმდგენი და ჰიგიენური</p>

მასაჟი;შეამოწმოს სპორტსმენის ფიზიკური პარამეტრები, მათი შესაბამისობა ნორმასთან და სპორტული დატვირთვის რეჟიმთან (გასინჯოს არტერიული წნევა, პულსი, სუნთქვის სიხშირე და ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა);

დასკვნის უნარი

არსებული პრობლემების გამოკვეთა და მათი გადაჭრისათვის შესაბამისი ხერხებისა და გზების შერჩევის შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება; ინფორმაციული მონაცემების ანალიზი, შეფასება და დასკვნის გამოტანა.სპორტის სფეროში ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე რეფერატის/მიმოხილვის დაწერა; გამოყენებული ლიტერატურული წყაროების კრიტიკულად შეფასება, დასკვნების გაკეთება და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება; ფიზიკური პარამეტრების შეფასების, ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე ინდივიდუალური და სპეციალური სავარჯიშო პროგრამების შემუშავება, სწავლების დაწყებით საფეხურზე. რომლებიც შეამცირებენ მოსალოდნელი ტრავმების პროცენტულ მაჩვენებლებს და უზრუნველყოფენ სპორტული წვრთნის პროცესში ტრენაჟორებისა და სხვა დამხმარე საშუალებების გამოყენების უსაფრთხოებას;

კომუნიკაციის უნარი

პროფესიულ სპორტულ საზოგადოებაში, სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობა, საკუთარი პოზიციების დაცვა და აზრის ჩამოყალიბება; მშობლიურ ენაზე იდეების, სპორტის სფეროში არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან და მონაცემთა ბაზებთან მუშაობა;

სწავლის უნარი

ხელმძღვანელის მითითებით შეუძლია: ფოკუსირება მოახდინოს საკუთარი ცოდნის საჭიროებებსა და პროირიტეტებზე;მოიძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. მწვრთნელის მომზადების პროგრამის IV საფეხურის გავლის შემდეგ შეუძლია ადეკვატურად განსაზღვროს პროფესიული და შემოქმედებითი ზრდის განსხვავებული ვარიანტები, აირჩიოს კონკრეტული მიმართულება.

ღირებულებები

გააჩნია პროფესიული პასუხისმგებლობა; შეუძლია კოლექტივში მუშაობა, პროფესიული ეთიკის დაცვა, ითვალისწინებს სამუშაოს დამკვეთის სურვილს, შეუძლია ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება, იცავს წვრთნის პროფესიისთვის განსაზღვრულ უსაფრთხოების ნორმებს. იცავს გუნდური მუშაობის პრინციპებს; იცავს სპორტსმენებს შორის, კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკ

	<p>ურ ნორმებს და მოქმედებს მათ შესაბამისად; კრიტიკული სიტუაციის დროს არ კარგავს კეთილგანწყობას სპორტ სმენტა მიმართ. 1. ცოდნა და გაცნობიერება.</p>
<p>სწავლების ფორმატი</p>	<p>ლექცია; პრაქტიკული მეცადინეობა.</p>
<p>სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები</p>	<p>გამოყენებულია სწავლა/ სწავლების მეთოდების სხვადასხვა სახეობა, პირველ რიგში ეს არის:</p> <p><u>სამუშაო ჯგუფში</u> პრაქტიკული მეცადინეობა - პრაქტიკული მეთოდები, რომელიც აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს უყალიბებს პრაქტიკულ უნარჩვევებს. შეძენილი ცოდნის საფუძველზე სტუდენტი ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა არანაკლებ ეფექტური მეთოდები.</p> <p><u>ჯგუფური (collaborative) მუშაობა</u> - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სწავლების პროცესში.</p> <p>პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მეცადინეობები:</p> <p><u>როლური და სიტუაციური თამაშები</u> - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში, ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებულებას, გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.</p> <p><u>დემონსტრირების მეთოდი</u> - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აქტუალური სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/ პრობლემის არსს.</p> <p><u>ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება</u> - მოითხოვს კურსის განმახორციელებლისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.</p>

	<p>ლექციაზე ხდება თეორიული მასალის გადაცემა. ლექცია შეიძლება ჩატარდეს განსხვავებული მეთოდებით, როგორცაა: ინტერაქტიული ლექცია, ლექცია პრესკონფერენცია, მოწვეული სტუმარი, ინფორმაციული ლექცია და ა.შ.</p> <p>პრეზენტაციის მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ჯგუფური ასევე ინდივიდუალური. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები დეტალურად გაწერილია სილაბუსებში.</p>
<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას; <ul style="list-style-type: none"> □ (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; □ (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; □ (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; □ (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; □ (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <ul style="list-style-type: none"> □ (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; □ (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.</p> <p>დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) შუალედურ შეფასებას; ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას. <p>პროგრამის ცალკეულ კომპონენტში შუალედური შეფასება შესაძლოა მოიცავდეს შუალედურ გამოცდას, პრეზენტაციას, აქტივობას, საშინაო დავალებას და სხვ.</p> <p>პროგრამის ცალკეულ კომპონენტში დასკვნითი გამოცდა შესაძლოა გულისხმობდეს: გამოცდის ჩაბარებას, პრაქტიკის ანგარიშის დაცვას ან პრეზენტაციის (ჯგუფური და ინდივიდუალური) წარმოდგენას (პრაქტიკის შემთხვევაში).</p> <p>პროფესიულ სტუდენტს სასწავლო კურსში კრედიტი ენიჭება თუ განსაზღვრული შეფასების კომპონენტების (შუალედური შეფასებები, დასკვნითი გამოცდა და სხვ.) დაჯამებით უტოლდება მინიმუმ 51 ქულას. შეფასების</p>

სისტემის კომპონენტები დადებითად ფასდება, თუ პროფესიული სტუდენტი გადალახავს დადგენილ ქულათა ნახევარს ან/და მეტს.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%) მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

პრაქტიკა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტს. პრაქტიკა შესაძლებლობას აძლევს პროფესიულ სტუდენტს განიმტკიცოს თეორიული კომპონენტით შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პრაქტიკა არის განაცხადი პროფესიული სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდეგ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაც არის დაგეგმილი პრაქტიკის ფარგლებში, ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია. პროგრამის ცალკეულ კომპონენტებში გამოყენებული შეფასების ფორმები და მეთოდები დეტალურადაა გაწერილი შესაბამის სილაბუსში.



სამთო გამყოლის V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	სამთო გამყოლი
პროგრამის ხელმძღვანელი	თეიმურაზ კომახიძე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამთო გამყოლის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
პროგრამის სტრუქტურა	120 კრედიტი (3000 საათი), აქედან (50%) - 60 კრედიტი (1500 საათი) ეთმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო (50%) - 60 კრედიტი (1500 საათი) - პრაქტიკულ კომპონენტს. კრედიტი გამოხატავს ცალკეული სასწავლო კურსით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას (დატვირთვას). ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.
პროგრამის ხანგრძლივობა	76 კვირა
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების შესაძლებლობა	2014 წლის 30 ივნისი. განახლება დია ყოველწლიურად
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>სამთო გამყოლი მაშველის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის, პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და სამთო გამყოლის 020559 პროფესიული სტანდარტის შესაბამისად.</p> <p>სტუდენტს მისცეს სამთო გამყოლი მაშველისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები, კერძოდ შეასწავლოს: ადამიანის ანატომია, ფიზიოლოგია, გადაუდებელი პირველადი დახმარება, ფსიქოლოგია, ტაქტიკურ-სპეციალური მომზადება (კავშირი, ტოპოგრაფია),</p>

	<p>სპეციალურ ტექნიკურ მომზადებას (სამაშველო აღჭურვილობა), სასიმაღლო ასვლების მომზადება, საერთო ფიზიკური მომზადება.</p> <ul style="list-style-type: none"> □ მოამზადოს პრაქტიკოს-სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ცოდნაზე დაფუძნებული თანამედროვე შრომის ბაზრის, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მოთხოვნების დაკმაყოფილებას პროფესიული განათლების სფეროში დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში. □ მისცეს შესაბამისი კურსის ცოდნა და უნარები უცხო ენაში, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში □ ჩამოუყალიბოს სტუდენტებს ზოგადსაბაზისო კომპეტენციების სისტემა შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე გასაგრძელებლად.
<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</p>	<p>კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, სრული ზოგადი განათლების საფეხური.</p>
<p>დამატებითი მოთხოვნები</p>	<p>სამთო გამყოლის მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სამთო სპორტის სახეობებში პროფესიული უნარები, პრაქტიკა და გამოცდილება.</p>
<p>სწავლის შედეგი</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება სამთო გამყოლი მაშველის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელმა იცის: ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგიის საფუძვლები. ურთიერთობის ფსიქოლოგია. პირველადი სამედიცინო დახმარება ტექნიკურ-სპეციალური მომზადება (კავშირი, ტოპოგრაფია), სპეციალური ტექნიკური მომზადება (სამაშველო აღჭურვილობა), სასიმაღლო ასვლების მომზადება, დაშავებულების ტრანსპორტირების ფორმები(საშუალებების გამოყენება) სამაშველო ჯგუფების სპეციალური ალპინისტური ინვენტარის სპეციალური კავშირის სანავიგაციო (რაციები, ჯიპიესები, რაკეტები და სხვა) და მათი ტექნიკურ-ტექნიკური მახასიათებლები სამაშველო სამუშაოების ჩატარებით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის სფეროში ძირითადი ცნებები სამაშველო სამუშაოების ზონაში დაშავებულის ტრანსპორტირების მარშრუტის დაგეგმვა სამთო სამაშველო ჯგუფების შემადგენლობები და მასში შემავალი მაშველების მოვალეობები</p>

საძიებო და სამაშველო სამუშაოების ჩატარების დროს ამინდის ცვალებადობის თავისებურებანი (სეტყვა, მეხი, ქარბუქი და საზვავე ფერდობები)
სამაშველო და საძიებო სამუშაოების დროს თოკებზე მუშაობის თავისებურებანი (თოკებით მოძრაობების, ჩაბმების შესწავლა და გამოყენება, კვანძების შესწავლა)
მყინვარზე, დახურულ და ღია ნაპრალებზე გავლის წესები
მაშველის აღჭურვილობა და ჩაცმულობის თავისებურებები
მთის მდინარეების სახეობები, ტყის რელიეფის და ნადირების ნაკვალევის შესწავლა
აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნორმებს
ფლობს სხვადასხვა ქვეყნებში მომხდარი შემთხვევების მაგალითებს, მეთოდისკასა და პრაქტიკულ უნარებს
აქვს საქმიანობის წარმართვისათვის არსებითი ცოდნა და პრაქტიკაში რეალიზაციის უნარი
იცის და გაცნობიერებული აქვს სათავგადასავლო სამთო ტურიზმის სფეროსთვის დამახასიათებელი პროცესები, პრინციპები და კონცეფციები
კარგად იცნობს ტურისტული მარშრუტების სირთულეების კატეგორიებს
შეუძლია თვითდაცვისა და ჯგუფური დაცვის მოწყობა
იცნობს საქართველოში არსებულ საფრთხეებს (ცხოველები, ქვეწარმავლები, მწერები, ალერგიული მცენარეები, კრიმინალური სიტუაცია, ეპიდემია, საკვები ტრანსპორტის მოძრაობა და სხვ.)
იცის საქართველოს ისტორია, კულტურისა და ეთნოგრაფიის საკითხები
აქვს გეოლოგიის და გეოგრაფიის საბაზისო ცოდნა
იცნობს საქართველოს სათხილამურო და სამთო რეკრეაციულ ზონებს
იცის უცხო ენა (მინიმუმ B2 დონე)

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

პირველადი დახმარების აღმოჩენა;
შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება
აქვს მოსალოდნელი საფრთხეების განჭვრეტის უნარი და დაშავებულის ტრანსპორტირებისათვის საჭირო სამაშველო სამუშაოების სწორი დაგეგმვა და წარმართვა
ექსტრემალურ სიტუაციებში იღებს სწორ გადაწყვეტილებას
ხედავს მარშუტის სხვადასხვა ვარიანტებს და შესაბამისად ამინდის მიხედვით ირჩევს დაშავებულის ტრანსპორტირების ვარიანტს
ურთულეს ექსტრემალურ მდგომარეობიდან გამომდინარე ითხოვს დაშავებულის სწრაფ ტრანსპორტირებას. იძახებს ავიაციას- შეუძლია ვერტმფრენის დასაჯდომი ადგილის მოწყობა

და ხელმძღვანელობს ვერტმფრენის უსაფრთხოდ ტრანსპორტირებას. ამზადებს დაზარალებულს ტრანსპორტირებისათვის

შეუძლია უსაფრთხოდ ღამის სათევის მოწყობა და კვების ორგანიზება.

ტყიან ზოლში და ბალახოვანი ფერდობების მისადგომებთან ცეცხლის სასაფრთხის მოწყობა და ღამის თევის შემდეგ მისი უსაფრთხო დატოვების წესები

ხანძრის შემთხვევის მომენტიდან უსაფრთხოება და შესაბამის ორგანიზებთან შეტყობინების აუცილებლობა

აქვს უნარი სათანადოდ შეაფასოს ბუნებრივი პირობები, ჯგუფის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ჯგუფის სავალალო მომზადების სამუშაოებს

მოსალოდნელი საშიშროებიდან გამომდინარე, შეუძლია გზის შერჩევა

ანალიზებს სამთო რელიეფებზე გადაადგილების ტექნიკას და აქვს შეცდომების დანახვისა და მათი შესწორების უნარი

პასუხისმგებლობის ფარგლებში ითვალისწინებს ტურისტთა მოთხოვნებს

კონკრეტულ მარშრუტებზე ინფორმაციის სიმცირის დროს იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას

გაიღრმავოს პროფესიული სფეროს შესაბამისი ცოდნა

დასკვნის უნარი

- შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი
- შესრულებული სამუშაოს მიხედვით შეუძლია საკუთარ საქმიანობაზე დაკვირვება და გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად რეალური დასკვნების გამოტანა
- შეუძლია სახიფათო სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების შეფასება და ანალიზი, მათ გადასაჭრელად სხვადასხვა ტექნიკურ-მეთოდური საშუალებებით სარგებლობა
- პრობლემურ, ფორსმაჟორულ და განსხვავებულ სიტუაციაში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად შეუძლია მიზეზშედეგობრივი კატეგორიებით აზროვნება და ეფექტური გადაწყვეტილების სწრაფად მიღება
- რთული და არასტანდარტული დავალებების შესასრულებლად შეუძლია საჭირო ინფორმაციის მოძიება
- ინფორმაციის ანალიზისა და შეფასების შედეგად შეუძლია დავალების შესასრულებლად შესაფერისი მიდგომის შემუშავება

- ექსტრემალურ, კონფლიქტურ, სტრესულ და სახიფათო სიტუაციებში აქვს თავდაჭერისა და ადექვატური ქმედების უნარი
- სამუშაოსათვის დამახასიათებელ ელემენტებსა და მომსახურების განსაზღვრულ ვალდებულებებს თანმიმდევრულად ასრულებს და ახერხებს სამუშაოს კოორდინაციას

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია:

უცხოურ ენაზე აუცილებელი და საჭირო ინფორმაციის წაკითხვა და გააზრება;
შეუძლია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში.
შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე.
აქვს უნარი, სხვადასხვა სიტუაციების გამოცდილების გათვალისწინებით შეაფასოს და განსაზღვროს ვითარება ან იპოვოს გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან
სამთო ტურისტის ამზადებს სათანადო ტექსტს, ასევე ტურისტული ჯგუფებისათვის მოიძიებს ძირითადად ან დამატებით ინფორმაციას
ამომწურავად და საინტეროდ გადასცემს და შესაბამისად განმარტავს ინფორმაციას დაგეგმილი მარშრუტების შესახებ
შეუძლია გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება

სწავლის უნარი

ხელმძღვანელის მითითებით შეუძლია:

ფოკუსირება მოახდინოს საკუთარი ცოდნის საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე;
მოიძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას;
განსაზღვრავს სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების საჭიროებასა და თანმიმდევრულ ეტაპებს;
შეუძლია წინსვლის მიზნით საკუთარი სწავლის დაგეგმვა , ინფორმაციის მუდმივი განახლება, ცოდნის გაღრმავება.

ღირებულებები

აფასებს თავის და სამაშველო ჯგუფში შემომავალი წევრების დამოკიდებულებას, გუნდურობის პრინციპებს პროფესიული საქმიანობისადმი და უზიარებს სხვებს;
□ არის თავაზიანი და ყურადღებიანი;

	<ul style="list-style-type: none"> □ ახასიათებს ორგანიზებულობა, პუნქტუალობა და მოწესრიგებულობა, კონსტრუქციული თანამშრომლობა და კეთილგანწყობა კოლეგებთან,საქმისადმი პატიოსანი და ეთიკური მიდგომა; □ არის ტოლერანტული, მომთმენი და ემოციურად სტაბილური.ახასიათებს შემოქმედიანობა □ აქვს საკუთარი ქვეყნის კანონიერებისა და ტრადიციების პატივისცემა, ეკოლოგიური ცნობიერება; <p>იცავს გუნდური მუშაობის პრინციპებს;</p> <p>პასუხისმგებელია ტურისტის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე,აცნობიერებს, რომ ჯგუფის სამაშველო სამუშაოების დროს ყველა ტურისტს აქვს მისი იმედი და მაშველის ყველა დავალებას ასრულებენ უსიტყვოდ;</p> <p>პასუხისმგებლობით ეკიდება დისციპლინური ნორმების დაცვას, მოქმედებს ამ ნორმების დაცვით;</p> <p>ხელს უწყობს ნორმალური სამუშაო გარემოს შექმნას;</p> <ul style="list-style-type: none"> □ აქვს საკუთარი ქვეყნის კანონებისა და ტრადიციების პატივისცემა, ეკოლოგიური ცნობიერება; □ პასუხისმგებელია ტურისტის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე, აცნობიერებს რომ ჯგუფის მოქმედებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების უფლება აქვს მხოლოდ სამთო გამყოლი მაშველს.
<p>სწავლებისფორმატი</p>	<ul style="list-style-type: none"> □ ლექცია/სემინარი; □ პრაქტიკული მეცადინეობა. □ სამუშაო ჯგუფშიმუშაობა/პრაქტიკული მუშაობა; □ პრაქტიკა;
<p>სწავლისშედეგებისმიღწევისმეთოდები</p>	<p>გამოყენებულია სწავლა/ სწავლების მეთოდების სხვადასხვა სახეობა, პირველ რიგში ეს არის:</p> <p><u>სამუშაო ჯგუფში</u> პრაქტიკული მეცადინეობა - პრაქტიკული მეთოდები, რომელიც აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს უყალიბებს პრაქტიკულ უნარჩვევებს. შეძენილი ცოდნის საფუძველზე სტუდენტი ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა არანაკლებ ეფექტური მეთოდები.</p> <p><u>ჯგუფური (collaborative) მუშაობა</u> - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის</p>

დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სწავლების პროცესში.

პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მეცადინეობები:

როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში, ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებულებას, გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

დემონსტრირების მეთოდი - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ეს მეთოდი გვებმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/ პრობლემის არსს.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება - მოითხოვს კურსის განმახორციელებლისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

ლექციაზე ხდება თეორიული მასალის გადაცემა. ლექცია შეიძლება ჩატარდეს განსხვავებული მეთოდებით, როგორცაა: ინტერაქტიული ლექცია, ლექცია პრესკონფერენცია, მოწვეული სტუმარი, ინფორმაციული ლექცია და ა.შ.

პრეზენტაციის მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ჯგუფური ასევე ინდივიდუალური.

სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები დეტალურად გაწერილია სილაბუსებში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

შეფასების სისტემა უშვებს:

- ა) ხუთი სახის დადებითი შეფასებას;
- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

□ **(FX)** ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

□ **(F)** ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

პროგრამის ცალკეულ კომპონენტში შუალედური შეფასება შესაძლოა მოიცავდეს შუალედურ გამოცდას, პრეზენტაციას, აქტივობას, საშინაო დავალებას და სხვ.

პროგრამის ცალკეულ კომპონენტში დასკვნითი გამოცდა შესაძლოა გულისხმობდეს: გამოცდის ჩაბარებას, პრაქტიკის ანგარიშის დაცვას ან პრეზენტაციის (ჯგუფური და ინდივიდუალური) წარმოდგენას (პრაქტიკის შემთხვევაში).

პროფესიულ სტუდენტს სასწავლო კურსში კრედიტი ენიჭება თუ განსაზღვრული შეფასების კომპონენტების (შუალედური შეფასებები, დასკვნითი გამოცდა და სხვ.) დაჯამებით უტოლდება მინიმუმ 51 ქულას. შეფასების სისტემის კომპონენტები დადებითად ფასდება, თუ პროფესიული სტუდენტი გადალახავს დადგენილ ქულათა ნახევარს ან/და მეტს.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების **(FX)** ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%) მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

პრაქტიკა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტს.

პრაქტიკა შესაძლებლობას აძლევს პროფესიულ სტუდენტს განიმტკიცოს თეორიული კომპონენტით შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პრაქტიკა არის განაცხადი პროფესიული სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდეგ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაც არის დაგეგმილი პრაქტიკის ფარგლებში, ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური

კომბინაცია. პროგრამის ცალკეულ კომპონენტებში გამოყენებული შეფასების ფორმები და მეთოდები დეტალურადაა გაწერილი შესაბამის სილაბუსში.

